

დამტკიცებულია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №97 განკარგულებით

**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და
ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიზნობრივი პროგრამა**

2016 wlisaTvis
zomis erTeuli: lari

1. პროგრამის (ქვეპროგრამის) სახელწოდება:

„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა ხელშეწყობის პროგრამა“

2. პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი:

~01 თებერვალი~ 2016წ.
~01 მაისი~ 2016წ.

3. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი

15 000 (თხუთმეტიათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყაროები

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი – 15 0000 ლარი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.

6. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:

2015 წელს პირველად მუნიციპალიტეტის მასშტაბით განხორციელდა პროგრამა, რომელმაც ხელი შეუწყო და წახალისა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სტუდენტები. პროგრამა განხორციელდა 2014-2015 წწ მეორე სემესტრის შედეგების შესაბამისად, რამაც საკმაოდ დიდი გამოხმაურება გამოიწვია სტუდენტების მხრიდან. მათ მიეცათ სტიმული და გაუჩნდათ მოტივაცია.

2015 წელს მუნიციპალიტეტში წარმოდგენილი იქნა 35 განცხადება, მათგან მხოლოდ 29 სტუდენტმა დააკმაყოფილა პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები და გაიცა 8700 ლარი, ხოლო დარჩენილი თანხა 6300 ლარი გადანაწილდა ერთ შშმ პირის სწავლის საფასურის დაფინანსებასა და 10 სტუდენტის (დედით ან მამით ობოლი, სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახის სტუდენტებზე, რომლებსაც 2014-2015 წწ მეორე სემესტრში ქონდათ მაღალი აკადემიური მოსწრება).

2016 წლის წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს 2015-2016 წწ პირველ სემესტრში არსებული შედეგების მიხედვით გაიცეს ერთჯერადი ჯილდო. მუნიციპალიტეტი ერთჯერად ჯილდოს გასცემს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის – ბაკალავრიატის სტუდენტებზე, რომელთაც მაღალი აკადემიური მოსწრება აქვთ (ფრიადი, 91 და მეტი ქულა, A კატეგორია).

მუნიციპალიტეტის აღნიშნული პროგრამა ხელს შეუწყობს სტუდენტის მოტივაციის ამაღლებას და მცირედით მოუგვარებს სხვადასხვა ფინანსურ პრობლემას.

პროგრამით თანხა გაიცემა 2015-2016 წწ პირველ სემესტრში მიღებული ქულების შესაბამისად საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში არსებულ სტუდენტებზე, რომლებიც რეგისტრირებული არიან ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში.

7. პროგრამის მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:

#	პროგრამის მიზნები:	მიზნის მიღწევის შეფასების ინდიკატორები
1	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მაღალი აკადემიური მოსწრების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების (ფრიადი, 91 და მეტი ქულა, A კატეგორია) ერთჯერადი ფულადი ჯილდოთ უზრუნველყოფა	მოსარგებლე პირთა რაოდენობა.
2	სტუდენტების წახალისება, ხელშეწყობა	მოსახლეობის კმაყოფილების დონის ამაღლება

8. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

2016 წელი													
#	საქმიანობის აღწერა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	შემოსული განცხადებები			X	X								
2	ერთჯერადი ფულადი თანხის ჩარიცხვა				X								

9. პროგრამის მოსარგებლე პირთა შერჩევის წესი:

1. პროგრამით ისარგებლებენ ის სტუდენტები, რომლებმაც მიიღეს მაღალი აკადემიური ქულა (ფრიადი, 91 და მეტი ქულა, A კატეგორია) 2015-2016 წწ პირველ სემესტრში საბაკალავრო პროგრამით.

2. განიხილება 2016 წლის 01 აპრილამდე შემოსული განცხადებები, რომელიც შესაბამისი ნორმატიული აქტის საფუძველზე გაიცემა. თანხის ზედა ზღვარი არის 500 ლარი, ხოლო იმ შემთხვევაში თუ რაოდენობა არის 30 სტუდენტზე მეტი, ამ შემთხვევაში მოხდება თანხის გაცემა მთლიანი პროგრამის თანხის (15000 ლარი) გადანაწილებით თითოეულ სტუდენტზე.

10. პროგრამის ბიუჯეტი

ა) პროგრამის დაფინანსება წლების მიხედვით

#	წყაროს დასახელება	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი	სულ
1	პირითადი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	15 0000			15 0000
	სულ:	15 000.0			15 000.0

ბ) პროგრამის ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

#	პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დასახელება	ერთეულის დასახელება	სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა	თანხის ზედა ზღვარი	სულ ხარჯი (ლარი)
1	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა ხელშეწყობის პროგრამა	სტუდენტი	30 კაცი	500 ლარი	15 000
სულ ჯამი:					15 000,0

დამატებითი ინფორმაცია:

დაფინანსების გაცემის სქემა:

- ა) განცხადება;
- ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობისა (პასპორტის) და დაბადების მოწმობის ასლი;
- გ) ცნობა ფაქტიური საცხოვრებელი ადგილიდან (გამგებლის წარმომადგენლის მიერ გაცემული);
- დ) ფაკულტეტის მიერ გაცემული ცნობა სტუდენტის აკადემიური მოსწრების შესახებ;
- ე) სტუდენტის საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები;
- ვ) 2015-2016წწ პირველი სემესტრის შედეგების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ხელვაჩაურის გამგეობაში არაუგვიანეს 2016 წლის 01 აპრილამდე.